

20011  
26  
1866


3

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1866.

МАРТЪ.



სამართულობა

სასულიერო მახარებელი.

მარტი.

ჩეკვი წ.



ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА И К<sup>О</sup>.

# ПОДПИСКА

НА

## „ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкъ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* (18<sup>64</sup>/<sub>65</sub>) годъ.

Независимо отъ журнала продаются: ‘Общепонятное изложеніе догматическаго ученія Православной вѣры,, на груз. яз. по 40 к. с. и ‘Краткая Свящ. Исторія,, — по 20 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.

სულიძმარწერა ყუჩნალზედ მიიღება ტიფლისის სემინარიაში, რედაქტორის სახელზედ. ფასი წლის ყუჩნალისა, ესე იგი 12 წიგნისა შინ მიტანით და სხუა ქუჭყენებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან. მარტო რუსულსათვის ერთი მანეთი. ამავე ფასით შეიძლება გამწერა დანაშთენის ეგზემპლიარების წარსრული წლის ყუჩნალისა.

ცალკე იხილება: “ადგილსახმენელად გამხატრეს მართლმადიდებელის საწმენოების დოქმატიკურისა სწავლისა,, ორ აბაზ. და „შემოკლებული საღმრთო ისტორია,, აბაზათ თჳთო ეგზემპლიარი, გაგზავნით და გაუგზავნელად.

35


წმინდობა ღირსისა დედისა ჩუწნისა და ნეტარისა  
თეოდორასი.

ყო დღეთა წყნარ მეფისათა დი გაბრეულ ეპარქიისათა  
აღუქმანდრის შინა დედაკაცი ვინმე, სახელით თეოდორა, ჭ  
ესუს მას ქმარი, სახითა კეთილი, ჭ მდიდარნი მშობელნი ესსნეს  
მას.

68

ხალა დასაბამიდან მაცუთრძან ეშმაკმან შთაუგდო გულსა  
ვინამე ჭაბუკისას ბორბოტი გულისსიტყუს და უნდა მას გარდაქცე-  
ვა ქრძისა მისისაგან. და ჭზოვა ვინმე დედაკაცი, ზიატრავი (ჭურ-  
ჭელი) ეშმაკისა, ჭ მიუკლინა მას, ჭ ძღუწნიცა წარსცა, რათამცა  
აცთუნა ვითარ, ჭ ბრძოდა იგი მრავალ ყამ დედაკაცისა მის მიერ  
უცხლსა.

ღ ჭრქვა დედაკაცსა მას თეოდორას: ვითარ განვიშორო ქმარი  
ჩემი, ჭ უკეთუ ნება ვსცე მას, დიდს ცოდვასა ვიქმ, ჭ დღესა მას  
სასჯელისასა მემხილოს უხჯულოება ესე, ჭ მხეცა ესე მოწამე  
არს თხრობად მის ცოდვისა ჩემისა. ხალა მან ჭრქვა მას: და-  
სულასა მზისასა მისვიდე მისთანა, და არა ხცნობს დღემდ წინცა  
უივლი; და მან დაიჯერა ესე მაცთურისა მისგან და წარვიდა ჭა-  
ბუკისა მის, და მიუთხრა ვითარმედ იქმნება ნება მისი, და შუით-  
სივნეს ივინი ცოდვასა,



ღ ვითარ განსრულდა ცოდვა, მაშინღა გულისა სმაჰყო თელ-  
დოდა რა იგი შეამთხვივა სულსა თვსსა, და ვითარ განიკიცსა ემ-  
მაკისაგან, და იცემდა ზიწსა თვსსა, და სტირდოდა მწარედ. სოლო  
ქმარი მისი ჭკითსავნ ვითარმედ რა არს მწუხარება ესე შენი, რამე-  
თუ მე ცოდვალ ვარ. სოლო მან ვერა იკადრას თხრობად, არამედ  
მრავლითა სულთქმითა და გლოვითა ეტყუინ ვისმე, რამეთუ ესე  
მევენა და წარვწყმინდე შუწნიერება ჩემი.

ღ ვითარ განთენა შეიმოსა სამოსელი თუხი, და წარვიდა მონ-  
ხსტერსა დედათასა, და დაკარდა წინაშე წინამძღვრისა და ჭრქუას:  
დედოფალა, მიმიყვანე მე წინაშე წმიდისა სასარებაისა, რამეთუ ღა-  
მენს ამას გმობა რამე ვუკვ წინაშე ღმერთისა, და ვიკითხოთ უკუ-  
თუ ჭსტნა იგი ღმერთმან.

ჭრქუა მას წინამძღვარმან: დედოფალა ჩემო, რა შესაძლე-  
ბელ არს დათარგად ღმერთისაგან? სტეთ, შეილო ჩემო, რამეთუ და-  
თარგა მოიგონე, რამეთუ რომელიცა ვიდრე სიკუდილადმდე საქმე  
ჭქმნა, იცის ღმერთმან აწვე; არამედ მითხარ, შეილო ჩემო, რამე  
უკუწ არს ბრალი შენი? სოლო იგი სტირდოდა, და ჭრქუას: მიკითხე  
სასარებას, და ვითარცა განალო სასარებას, ჭზოვა ესე: რომელი  
ვიხილე ვწამებ, სოლო მან იცა ზიწსა თვსსა და თქუას: ვადა  
ჩემდა განსრწნილსა, რამეთუ საწოლი ქმრისა ჩემისა შევსგინე! ვადა-  
მე შეცთომილსა ამას, ვითარ მე განვიძარცო ცოდვა ჩემი!

ღ წარვიდა იგი სასიდა თვსად და განიძარცუას სამოსელი თუ-  
ხი და ყოველი სამკაული ოქროსა და ვერცხლისა, და მოიკუწცა  
თმა თავისა თვსისა, და შეიმოსა სამოსელი ქრძისა თვსისა, და  
წარვიდა იგი ქალაქით მილიონსა ათვრამეტსა, და ჭზოვა მუნ მონა-  
სტერი მაშათა, და ჭრეკა კარსა და განვიდა მეკარე და ჭრქუა მას,  
უკეთუ უნდეს ღმერთსა და არა მეუფლენ ცოდვანი ჩემნი და  
ღირსკვიქმნე ალებად უღელსა მისსა, მაცადეთ მე დაუუღე-

ზად მონასტერსა თქვენსა, რათა იერსთა თქვენთა გზანდე, და ვცხონდე თქვენთანა.

ხოლო ძმამან მან მიუთხრა სიტყუა მისი მამასახლისსა, და მან მოუწოდა ყოველთა ძმათა და აუწყა რა იგი უთხრა მას ძეგარემან. და თქვებ ძმათა ყოველთა: დგებ იგი ამას ღამესა კარსა ზედა, და უკეთუ არა შეესნენ მას მხეცნი ღამესა ამას, განრათენდეს შემოკედინ იგი, რამეთუ აქუნდა მათ კადნიერება მხეცთა ზედა, და სიტყვით განხდეინდეს იგინი.

ღ ვითარცა დაჭხდა მზე, მოკრბნეს მხეცნი და ვითარცა იხილეს იგი, წარვიდეს. მამინლა განუღეს კარი და შეიყვანეს და მოვიტონსა ყოველნი და მიიყვანა მამასახლისმან სენაკად თვისად და ჭკითსა: შეილო ჩემო, რასათუხ უკუწ მოხკედ აქა, ნუ თუ ვისმე ზედა რაღა გამს, გინა კაცი მოგიკლავს, ანუ გაჭირვებს ვინმე რასა?

მიუგო და ჭრქუა მან: არა, წმინდაო მამაო, არამედ სინა ნულად და ტირილად მოხრულვარ ცოდვათა ჩემთათუხ. ჭრქუა მას ბერმან: რა გეწოდების სასელი შეილო? ხოლო მან ჭრქუა: თეოდორე.

ჭრქუა მას არქიმანდრიტმან: ძმაო თეოდორე, პირველადვე ვითხრობ შენ: აქა თუ იყო, ბოხტანი მოწყვად გიძს და ძმათა წყნნი ქმნად გიძს, და ჟამნი წმინდანნი ძმათა თანა ლოცვად ვისხენ დაუცადებულად, და ყოველი ნება შენი დახდვა წინაშე მადლისა, ღამე არა დაწოლად სარ და ცისკრისა ლოცუა მღვიძარებით აღსრულებად გიძს, ქალაქად წარსულად სარ ძმათა მსახურებისათუხ.

ხოლო მან სინარულით შეიწყნარა ბრძანება წმინდისა მის ბერისა და ჭრქუა მას: წმინდაო მამაო, ვესაკ დმერთსა, ვითარმედ არა გარდავხდე მცნებათა შენთა, არამედ ყოველი ვჭყო და ყოველთა კმსახურო; და რწყვიდა ბოხტასსა და წყალი აღმოსხის, ჭ

ილღვის ძმათა თანა, და ქმნის ჰური და ქმნის წუწნი ძმათათჳს და ჭამის ძმათა თანა.

ღ მერმე შეაყენა თავი თვისი ხენაკსა, და ხათნოეო იგი ღმერთსა, და აღიღო უღელი მისი და იტყოდა: უფალო, დაფარე რამელი იგი იხილე წარწყმედულება ჩემი; უფალო, შემინდევ შეცოდებანი ჩემნი, რამელნი ვჭქმენ, რამეთუ წარწყმიდე შუწნიერება ჩემი, დამი ძმინის. დარეკის რა ქადაგმან ცისკრისა, აღდგის ღოცვად ვიდრე განთენებადმდე, და კეთილად მხახურა ძმათა წელსა რვასა. და იქმნა მოკლება იფქლისა და ზეთისა მონასტერსა, და უბრძანა მას მამსახლისმან წარსხმა აქლემთა ქალაქად, რათა იფქლი მოიღოს ძმათათჳს.

ხოლო ქმარი მისი ძარადის ილღვიდა და იტყოდა: უფალო, მაუწყე თუ ვითარ ვიდა ცოლი ჩემი უხინოდ, და მას ოდეს უამსა, ოდეს იგი მივიდოდა თეოდორა, გამოუხნდა მას ანგელისი და ჭრქვა: ხულისა წმინდასა თანა წარვიდა იგი; და თქვა: უფალო ჩემო მიხუწნე იგი; და ჭრქვა მას ანგელისმან: აღიმსთუწ გზასა მას ტიარისა და რამელი შეგემთხვიოს იგი არს ცოლი შენი.

ხოლო მან აღიმსთო და იხილა აქლემები და მონაზონი ვინამე მიუდგა აქლემებსა მას, და ვითარცა იხილა იგი შორით ნეტარმან თეოდორა თქვა: ვაჲმე, უფალო ჩემო ტკბილო, რა იგი ვუამს სიტრუე შენზედა, ვინა უკუწ ვისხნე მე ცოდვისა მისგან.

და ვითარცა დაესხლნეს ურთიერთას, ჭრქვა თეოდორა: განსწოდენ უფალო ჩემო, და მანცა ეგრეთვე მოიკითხა. ხოლო არს იტყოდა თუ ვინ არს მონაზონი იგი და განემოწნეს ურთიერთას.

ხოლო კაცი იგი იტყოდა: ვაჲმე უფალო ჩემო, რასათვის აღმითქუ და არს მიხუწნე ცოლი ჩემი! და ვითარმედ გამოუხნდა მას ანგელისი იგი ჭრქვა: ანუ არს გუშინ თაყვანის გცა და გრქვა: გიხაროდენ უფალო ჩემო; იგი იყო ცოლი შენი. ხოლო მან უოკლად-

ვე არა შეიწყნარა სიტყვა იგი მის ანგელოსისა, რამეთუ მადლი წმინდა მას შეუცვლიდა გონებასა მისსა მოწილუბითა მისითა.

ხოლო ნეტარი თეოდორა მოვიდა მონასტრად და იმარხა ორი დღე და ეკედრა ვისმე ძმათაგანსა, რათა იკითხოს მამასახლისისაგან და იმარხვიდეს ოთხ დღე. ხოლო ბერძან მან ჭრქვა: შეილრა ხემო თეოდორე, ღმერთმან დაგამტკიცენ შიშსა მისსა, შესძინე სხვატა ორი, და იმარხევდ შეიდეულებსა, და ვითარტა ესმა მას განიხარა ფრიად ბრძანებასა ზედა ბერისასა, და იმარხვიდა იგი შეიდეულთ წელწადსა ერთსა.

და ეტყვიან ძმათა რათა ეკედრენ ბერსა მისთვის და შეიმოხონ ძამა და მათ აუწყეს ბერსა ესე. ხოლო მან მოუწოდა მას ღ ჭრქვა: ძმაო თეოდორე, დიდ იყოს სასუიდელო შენი, უკეთუ აღიღო უღელი უფლისა და ულოცა მას და უბრძანა რათა შეიმოხონ ძამა და ზედა კერძო სტისარა მონაზონთა და აღიდებდა ღმერთსა მარადის შენდობისათვის ცოდვათასა და იხარებდა იგი სულითა მსახურებისათვის ღმერთისა და განთავისუფლებისათვის სოფლისა საცთურისაგან. და იყო მუნ ტბა ერთი, რომლისა ვერ ვინ ეძლო ყოვლადვე თანა წარსულად, რამეთუ მხეცნი იგი გამოვიდოდეს ტბისა მისგან და შეშკამდეს კაცთა და პირუტყვთა, და გრიგორი ეპისკოპოსმან ქალაქისამან დაადგინა მუნ მხედარნი, რათა არავინ უტყვებდენ თანა წარსულად ტბისა მისსა.

იხილა რა მამასახლისმან, რამეთუ არს მადლი თეოდორესთანა ჭრქვა მას: შეილრა ხემო, წარილე საწყული და აღავსე იგი ტბისაგან და მოილე იგი; და წარვიდა ტბასა მას. ხოლო მხედარნი იგი აუენებდეს მას და ჭრქვენ: სხვაგან აღავსე, რამეთუ აქა სიკვდილად მოხვალ.

და ვითარ არა უტყვებდეს მას მისკლად ჭრქვა მათ: მე არქიმანდრიტმან მიბრძანა, და არა უკუნ ვიქცევი ვიდრემდის არა აღ-

მკვიდრს აქათ, და მივიდა იგი კიდეს მის ტბისას და აჭა კორ-  
კონილასი ერთი მოეკება და აღიქვა იგი ზურგსა ზედა თვისსა  
და შეიყვანა შუა ტბასა მას და აღავსო მუნ თვისი იგი ხარწყუ-  
ლი, და ვითარცა გამოიყვანა იგი ხმელად, მიექცა და ჭრქვა: მხეც-  
სა მას სასკლითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა განსმენის ყბა  
შენი, რათა არღარა შემჭამდე კაცთა, სატად ღუთისად შექმნულთა,  
და მყის მოკვდა მხეცი იგი.

ხოლო მხედართა მათ იხილეს რა, განკვირდეს და მივიდეს ჯ  
უთხრეს ესე მამასასლისსა, და წარვიდეს და მიუთხრეს ყოველსა  
ქალაქსა საკვირველი ესე და გრიგორი ეპარხოზსა, და ყოველნი  
ადიდებდეს ღმერთსა, რამეთუ ესე-კითარი სანატრელი გამოჩნდა  
მონაზონთა შორის მის მონასტრისათა; ხოლო რომელთამე  
ძმათაგანსა არა რწმენა, და უნდა გამოცდა მისი უკეთუ ესე-კითარ-  
სა მადლსა ღმრს იქმნა თეოდორე; და ვითარ შემწურდა ჭრქვეს  
მას თვნიერ მამასასლისისა, ვითარმედ წარიღე წიგნი ესე და მთარ-  
თვი რომელსამე მონასტერსა, რამეთუ იცოდეს ვითარმედ არს სა-  
შიშარ გზა იგი და საესე მხეცითა.

და ვითარცა წარვიდა შეემთხვივა მას მხეცი და თანა მიჭყვე-  
ბოდა მას იგი, და მიიწია იგი მონასტერსა, რომელსაცა მივი-  
დოდა, და რეკა კარსა მონასტრისასა, და განუღო მას მეკარემან და  
წარვიდა იგი მიცემად ებისტოლისა მის ვინდა იგი წარცა ძმა-  
თა მათ.

ხოლო მეკარემან უღებ-ჴყო დასშვა კარისა და შევიდა მხეცი  
იგი და აღიტაცა მეკარე იგი. ხოლო იგი ხმობდა ძლიერად, და  
ვითარცა ესმა ძმათა მათ, დევნა უუკეს ყოველთა. ხოლო თანა ვერ-  
ვინ მიეახლა მას შიშისაგან, და ვითარცა ჭტნა ესე ნეტარმან თეო-  
დორა ვითარმედ მეკარე იგი მხეცმან წარიღო, დევნა უყო კვალსა  
მისსსა და მიეწია მას და უზურა ყელი მისი და გამოუღო კაცი იგი



შემსგებელი და ჭრქვა მსეცხა მას: განხმენინ ყბა შენი, წამეთუ ხა-  
ტი ღუთისა გინდა გარყუნად და მეყვსეულად განხმა მსეცი იგი.  
ხოლო ნეტარძან თეოდორა ოდეს გამოულო კაცი იგი მსეცხა მას,  
ულოცა და სცხო ზეთი ზატორხნისა ჯვარისა და განიკურნა იგი, ჭ  
ადიდებდეს ღმერთისა.

ხოლო ნეტარი იგი თეოდორა წარვიდა მონასტრად თვისა  
და არავის რა უთხრა ამისაგანი; და ვითარცა განთენა, აწა მონაზონ-  
ნი მის მონასტრისანი მოვიდეს საკმეველით და კეროვნებით, არ-  
ქიმანდრიტს მადლობდეს და ჭრქვებს, წამეთუ აცხოვნა ღმერთძან  
ლოცვითა თქვენითა და სეღითა მონაზონისა თქვენისათა სული  
მსეცხასაგან შეჭმული მონასტრისა ჩვენისა, და მიუთხრეს ყოველი  
რამ იყო, და ადიდებდეს ღმერთისა ყოველნი, რომელძან ჭყვის ნება  
მოძიშთა მისთა. და ჭრქვა მამასახლისძან მონაზონთა: და ვინ წა-  
რავლინა თეოდორე? და ყოველთა უარ-ჭყვეს. ხოლო თეოდორეს  
ჭრქვა: ვინ წარგავლინა შეილო, და მან ჭრქვა: შეძინდეკ მამაო, წამე-  
თუ რაჟამს წარმავლინებდეს და შეძინებოდა, და არა ვიცი რა, თუ  
ვითარ გამოუოდ, და ამცნო მას ბერძან და ჭრქვა: ნულარა ვიდრე გა-  
სვალ თჳნიერ ჩემის ბრძანებისა.

და ღამე გამოუხნდა მას ეშმაკი და ჭრქვა მას: ყოვლადმეძა-  
ვო, რომელძან ჭქმენ ზაკვა ქმრისა შენისა მიძარო, აქა მოხუდ დახა-  
ხნად ძალისა ჩემისა დიდისა? მე უკუწ აღვადგინო შენზედა ჭირი  
და ურვა ვიდრემდის ჯვარცმული იგი უვარ-ჭყო, და სთქვა ვი-  
თარმედ შენ ხარ დიდ; ხოლო მან გულისახმა-ჭყო ვინ არს იგი და  
ჯვარი დასწერა და აღდგა ლოცვად. და მათ ოდეს ყამთა იქმნა  
მოკლებს ითქვასა მონასტრისა მას და უბრძანა მამასახლისძან  
წარხხმა აქლეძთა ქალაქად და მოკლებს ითქვასა და ჭრქვა მას: შეი-  
ლო თეოდორე, უკეთუ დაგიღამდეს განუსუწნე აქლეძთა ენატორს.

ხოლო ნეტარი თეოდორა წარვიდა ქალაქად, და მოჭტევასა მისსა

ღამე იქმნა და მივიდა მონასტერსა ენატოხისა და მიუთხრა მათ, ვითარ იგი დაუღამდა და უნებს განსკვნებისა ვიდრემდის განთენეს, და მათ მისცეს ყოველი ხახმარა მისი, განუსუღწნა აქლემთა და დაწვა იგი თერხთა თანა აქლემისათა.

და ვითარ ყოველნი დაწვეს, აჭა ქალი ასული წინამძღვრისა მის მონასტრისა მივიდა და განაღვიდა ნეტარი თეოდორა და ჭრქვა: ჭაბუკო განისუღწნე ჩემთანა, და მან ჭრქვა შემოღამსედენ, რამეთუ სული ოდენ არს ჩემთანა, და ვითარ შემიდლიან ესე ყოფად; და იყო მუნ სხვა კაცი ერთი უცხო ძწოლარი, წარვიდა და ჭყო ნებისაებრ მისისა, და მიუდგა იგი მისგან, და ვითარ განთენა, წარვიდა კაცი იგი ვიდრემე, სოლო ნეტარი თეოდორა გამოვიდა მონასტრით ჭ წარვიდა თვისსა გზასა.

და შემდგომად ექვსისა თვისა იცნობა ქალი იგი ვითარმედ მიდგომილ არს, და ჭკითსვიდეს მას ვითარმედ ვინ არს ესე შენთანა. სოლო მან ჭრქვა: მონაზონმან მან, რომელი იყო აქლემთათანა ღამესა მას, და რა ადრე აქა განკედი რომლისამე საქმისათვის ღამით, სოლო მან ვითარცა მხეცმან შემიპურა და შემაძიო და ესრეთ წარმწყვიდა.

და სმაჰყვეს ენატოხელთა და აღუშფოთნეს მამასასლისსა ჭ მიკრბნეს ყოველნი მონასტრად ამის სახისათვის და ხმობდეს: სადა არს სტუვი იგი მონაზონი, რომელმან განსრწნა ქალწული ჩემი. სოლო ბერმან ჭკითსა ნეტარსა თეოდორას, უკეთუ ესე ესრეთ არს. სოლო მან ჭრქვა: შემინდეგ მამაო, რამეთუ მე არა მიძს საქმე ეგვი ვითარსა ზედა, და ძნიად აქცინა ენატოხელნი იგი მამასასლისმან, და ვითარცა შუა ყრმა იგი ქალმან, შემდგომად საძისა თვისა მოიყვანეს ენატოხელთა მათ და დაუგდეს იგი კარსა მონასტრისასა ჭ წარვიდეს. და ვითარცა იხილა ესე ბერმან განეზრასა ძმათა ყოველთა, ვითარმედ რა ჭყოს; და მათ ყოველთა წვით გამოადეს

სეტარი თეოდორა მონასტრით და მისცეს მას ყრმა იგი. ხოლო თეოდორა წარიქნა ყრმა იგი და ითხოვდა სძესა მწყემსთაგან და ახმიდა მას და იგი მოკვდა მიუთხრობელითა ღვაწლითა, და დაჰყო განკვეთილად მონასტერსა მას შვიდი წელი.

ხოლო ეშმაკიან ვითარცა იხილა მისი იგი მოთმინება ღვაწლითა მათ შინა, მიემზგავსა იგი ქმარსა მისსა და შევიდა მისსა სადგურსა და ჰქრქვა: ვადმე დედოფალა ჩემო, აქანისაარ? ვადმე დედოფალა ჩემო, რომლისა ბრალისათჳს ჰყავ სიკვდილსა შენი უდაბნოსა ამას და დამიტევუ მე ურკათა შინა და გეძებ შენ ეხოდენტა წელთა ყოველთა ადგილთა; და უკუჩქ აღდეგ, საყვარელო ჩემო, და მოკვდ სახედ შენდა, და მიუჩითვან იყავ შენ ვითარცა დაჲ ჩემი წმინდა ჩემგან ცოდვისათჳს და იხსენ პირველი იგი სიყვარული შენი, რომელი მაქრქნდა შენთჳს. ხოლო წმინდაძან გულის სამაჴყო ვითარძედ არს იგი განმცდელი ეშმაკი და ჰქრქვა მას: არღარა მოვალ რამეთუ მიჯმნიეს შენგან და სოფლისაგან, და რამეთუ მრცხუნსნი არს იგი ჴყო ჩემთანა ძემან იოვანე კომისიისაძან და შენის პირისაგან მეოტ ვიქმენ სოფლით, რათა შევინანო ცოდვა იგი.

და აღდეგ და აღიპყრნა ხელნი თვისნი ზეცად და ილოცვიდა და განიჭრნა ეშმაკი იგი თვისჴე და უჩინო იქმნა, და მადლობდა იგი ღმერთსა და იწოდებოდა იგი მდელოდთა და წყალსა ზღვისასა სმიდა და არს რასა იხმარებდა მონასტრით, არამედ შეუკრდებინთუ ვინმე მივიდეს ხილჴად მისა რათა ღოცვა ჴყოს მისთჳს, და იურხსილნი მისნი შეიქმნეს ვითარცა ვეფხვისა და თმანი მისნი ვითარცა ღომისანი და ყოველნი ახლნი მისნი ყვითლად გარდაიქცეს სიტხითა დღისათა და ქნულითა ცვარითა ღამისათა.

და სედვიდა მას მამასახლისი და ყოველნი იგი ძმანი ღვაწლითა შინა და ილოცვიდეს მისთვის ყოველნი ძმანი. ხოლო ეშმაკი არს დასცხრებოდა ბრძოლად მისა სედვიდა რა ეკოდენტა მისთა

მთმინებათა და უჩუწნებნ მას სპინელთა ოცნებათა, რამეთუ  
ოდესმე ვითარცა სიმრავლე მხეტთა მოუვლინა და ოდესმე რეცა  
ზღვა დასთქამნ და კაცო ვინმე ეტყუინ: ღირს არს შესაჭმელად  
მხეტთა მეძავი ესე. ხოლო ნეტარი იგი იტყვიდინ: მოდგომით მო-  
მადგეს მე და მომიცვეს მე და უფალმან წარმოტნა იგინი. და კვა-  
ლად ერთსა დღესა უჩუწნა მას ოქრო ფრიადი; ხოლო მან დაიწე-  
წერა ჭვარი და ილოცვიდა, და ესრეთ თანაწარსდა მას.

და კვლად უჩუწნა მას ხაოცარი: და აჴა მთავარი მოვალს, აღ-  
დგო და თაყვანის ეც მას. ხოლო მან რქვა: უფალსა ღმერთსა ჩემ-  
სა თაყვანის ვცემ და მას მხოლოსა ვმსახურებ, და არა ინება აღდ-  
გომას თაყვანისცემად მისა; ხოლო იგი განჩისხნა და იწყო ცემად მი-  
სა ტაჯბათაკითა; ტანჯეს იგი ფრიად ვიდრემდის საგონებელ იყო  
იგი მკვდრად, და მამინდა წარვიდა ხაოცარი იგი.

და მივინმევიდეს მწუემსნი და ჳზოვეს იგი ვითარცა მკვდარი  
და მივიდეს და უთხრეს ძმათა: წარიღეთ მონაზონი იგი რა-  
მეთუ მომკვდარ არს; და განვიდა ბერი და ძმანი მისთანა, და ვი-  
თარცა ისილა იგი ბერმან რქვა ძმათა მათ: უტევეთ ეგო რამეთუ  
ცოცხალ არს; და ესრეთ წარვიდეს იგინი მონასტრადგუ. და შუა  
ღამესა ოდენ ღაღადება იყო და მოეგო ცნობასა და ტირილდა და  
იტყოდა: ვაჲ ჩემსა ამას შეუწევნელობასა, ვითარცა მსწავლის ცოდ-  
ვა ჩემი, და აღიზურნა სელნი ტირილით და ილოცვიდა უფლისა  
მიძარით და იტყოდა: „ღმერთო, რომელმან შექქენ ცანი და და-  
აწესენ მათ შინა სიმრავლე ანგელოზთა გალობად და დიდებად შენ-  
და დაუცხრომელად, წმინდა არსობით და ქერობინნი დაადგინე  
მცველად სამოთხისა მის წმინდათა შენთა აღთქმულთა, ვმადლობ  
მათ თანა მეცა უძღური და ცოდვილი სასელსა შენსა წმინდასა; ის  
მინე უფალო სმა გლახაკისა ამის, მისხენ მე ბოროტთა ეშმაკთავან  
და ინებე აღხოცა ცოდვათა ჩემთა, რომელი ეგო ხარ, უფალო. შენ

სოლო შეუცოდებელ და კაცთ-მოყვარე და ცოდვილთა მოწყალე და  
მონანულთა მოყვარულ და სინანულსა ზედა იხარებ. მიხსენ მე  
უიჯლო, რათა ვადიდებდე სახელსა შენსა წმინდასა უკუნითი უკუნი-  
სამდე“. და ვითარმედ იხილეს იგი მწყემსთა ილოცვიდა რა გან-  
ცოცხლებული, განკვირდებოდეს და ადიდებდეს ღმერთსა, და მიუთ-  
ხრეს ძამასახლისსა ვითარმედ ცოცხალ არს თეოდორე. სოლო ბერ-  
სა ვითარცა ესმა ესე, განიხარა და განვიდა ხილვად მისა და წარ-  
მოიყვანა ყრმა იგი მისგან და განიხარა ნეტარმან თეოდორა რა-  
მეთუ შესტობს ყრმა იგი უდაბნოსა. და შემდგომად მცირედთა დღე-  
თა იხილა ვინმე ნეტარმან თეოდორა მსგავსი მონისა, რომელსაზე  
უკიდა სიერიდი დიდი, რომელსა შინა იყო სანოვავე, თითო ფეჭი  
მოწინველები შემწვარი და სხვა სორცი რომელიმე შემგზარი და  
რომელიმე მწვარი, და ზურჩი წმინდა და ყოველივე ფერად ფერადი,  
და შევიდა მისა და ჭრქვა: ესე წარმოცა შენთვის მთავარმან რა-  
მელმან იგი გტანჯა შენ, და იტყვის ამის მიჯნებასა სახმარად შენდა, და  
მომიტყუე რომელი იგი გტანჯე რამეთუ არა ვიცოდი შენთვის თუ  
მონასტრისა ძმთავარი ხარ.

სოლო ნეტარმან მან გულის-სმასტყო ზაკვა იგი და ჯვარი  
დასწერა მას და ჭრქვა: შეგრიხენინ შენ უიჯლმან, ეშმაკო, და ყოვე-  
ლი ზაკვა შენი შენ ზედავე იყავნ, რამეთუ მე შეურაცხს-კიყოფო  
ამიერთგან ძალითა ქრისტესითა, რამეთუ იგი მაქვს მბრძოლად  
შენდა და განრინებად ჩემდა; სოლო მზაკვარი იგი მსწრალ ივლ-  
ტოდა და ჭრქვა: ამიერიდგან არღარა შევსძინო ბრძოლად შენდა,  
უკეთურო და მესაკო, რამეთუ გწყალ შენ ვიდრე სიკვდილადმდე,  
რძლა ვუო შენთვის ესე-ოდენსა სიგლასავესა, და მიერთგან დას-  
ცხრა ეშმაკი გამოცდად მისა.

და ვითარცა აღახრულა ნეტარმან თეოდორა შვიდი წელი, მო-  
კადეს ენატობითა და ჭრქვებს ძამასახლისსა: შეუნდვეთ ამიერთგან

უკვლავს მას თეოდორეს და შემოიყვანეთ იგი შინაგან, რამეთუ შეუნდობიეს ღმერთსა ცოდვა იგი, რომელი ქმნა, რამეთუ ეხვეწა ვითმე ჩვენგანთა ანგელოზი უფლისა და ჭრქა მიტეკებისათჳს მისისა. და განისარა ბერძან და ძმათა უოკელთა და შეიყვანეს იგი მონასტრად და იტყოდეს ესენიცა ვითარმედ ჩუწნცა გვეუწყა მოტეკებისათჳს მისისა. და ჭრქა მას მამასახლისმან: ძმაო თეოდორე, ესე რა შემოიყვანებ, ამიერიტგან ნუღარა ვიდრე განსკალ, რათა არა ვითარმედ დაეცე და დააყუდა იგი უშინაგანეს სენაკისა და ყრმა იგი მხახურებდა მას და ყოვლად მისთანა არს. დაჰყო რჩი წელი მუნ შინა მიერ სენაკით თხზით დაუცადებელად ღოცვასა შესწირვიდა ღმერთსა. და მათ რდენ უამთა იყო მოკლება წყლისა მონასტერსა მას და განსძეს ლაკვანი მათნი და ღოცვასა ჰყოფდეს, და არა იყო მათთანა წყალი. და დღეს ერითსა ჭრქა ბერძან ძმათა მათ: ვინილოთ თეოდორეს-თჳს, უკეთუ განამართლს იგი ღმერთმან ცოდვისა მისგან, და ბრძანა კარისა განლება სენაკისა მისისა და მოწოდება მისი წინაშე ძმათა მათ.

და ვითარცა მოვიდა თეოდორე ჭრქა მას ბერძან: ღმერთმან მოგივლინეს ნუგეშინის-ცემსა და მეტე ჭრქა: ჰყავ სიყვარული და წაიღე ხარწყული და აღმოავსე ლაკუნით და მოიღე. ხოლო იგი წარვიდა და ვითარცა მივიდა ჰზოვა ლაკუნისა იგი ხავსე წყლითა, აღავსო და მოართვა იგი ღმერთსა წარვიდა სენაკად თვისად, და ყოველნი იგი მადლობდეს ღმერთსა ხასწაულისა მისისათჳს.

და შემდგომად დღეთა რავდენთამე ჩეტამრძან თეოდორა მოუწოდა ყრმასა მას და დახშა კარი სენაკისა თვისისა, რამეთუ მწუხრიცა იყო და ჭრქა ბერძან ძმათა: მივიდეთ უკუწ კარსა მისსა ღმერთსა რასა მი ეტყოდის ყრმასა მას, და მივიდეს და ისმენდეს გარემე სენაკსა მისსა.

და მან შთაინკა ყრმა იგი წიაღთა თვიხთა, ამბოროს უყოფდა მას და ჭრქვა: შვილო ჩემო სხეუარყო, ყაძი აღსრულებისა ჩემისა მთიწია და წარვალ მე ვინა არღარა მოვიქცევი აქა, და შენ ნუ ხა და იტყვი, ვითარძედ ობოლი ვარო, რამეთუ გაქვს შენ შემწედ ღმერთი და უფალი ბერი და სხვანი მამანი. შვილო ჩემო, გეშინოდენ ღმერთისა და ზატვი-ცემდ ყოველთა რათა მსახურებდე სინარულით, მარსკა გიყვარდინ, და აღსრულებდე მას მარადის, და ღოცვასა დაუცადებელ ჭყოფდი წინაშე ღმერთისა, ფხაღმუნებად ნუმცა უცალო არს ენა შენი მარადის, და ყაძთა ყოველთა მამათა თანა ღოცვასა მარწრაფე იყავი, განიმორე ძილი ფრიადი შენგან, გეშინოდენ განითა აძათ ყაძთა, რათა უკუნისამდე იშეებდე საუკუნესა მას. ეც ზური შენი მშიერსა, და შიშველი შემოხე, ნუ გული გითქმამნ სხვისასა, ნუცა ძვირსა იტყვი ძმისა შენისათვს, წინაშე ზირსა შენსა გაქმნდინ საცო, ესრეთ მიუგე მას, რომელი გკითხვიდეს: ნუ უკმწ საცოურსა შეგადონ შენ ძტერთა შენთა. ტიროდე მოუკლებელად, რათა მუნ ისარებდე საუკუნოდ, და ნუ განიცდი ზირსა სხვისასა; და უკეთუ ვინთვიხმე გესმეს შეცოდება რადმე ვინა ურვა, ილოცევდ მისთვს. სნეულთა მისედევდ, ბრმათა ექმენ წინამძღვარ და ყოველთა უძლურთა თანა მოღვაწე რომელი ძალ გედვას, მკვდართა დაჭულევდ, და თანა დაეოღვოდე ვითარცა მისთანავე აღსრულებული და განეყენე ყოველსა აძაოსა, რამეთუ შენცა უკანა მიუდგე, ივლტოდე ეშმაკისგან და ძლიერად აღუდეკ წინაშე მისსა, რამეთუ იგი მსწრაფელ მოუძლურდების უფლისა ძაერ, მოთმინეთა და ფრთხილთა წინაშე დაეც, ნება მისი ნუ სადა შეგამწუნებენ შენ, ილოცევდ მარადის არა შესვლად განსაცდელსა, და უკეთუ შესვიდე უფროსდა ილოცევდი, რათა განერე; და ისილონ რა ღმერთმან მოღვაწება შენი, მოგივლინონ სხნისა ანგელონი შემწედ შენდა, რათა განგარანონ შენ. ესე რა ჭრქვა, ყრმასა მას,

ილოცა და დაიძინა. მიუთხრეს რა ესე ყოველი ძმათა მათ ბერსა, ადიდებდეს ღმერთსა. და ჳრქკა მათ: ვინილუ მე ჩვენებით ამას ღამესა და აჳსა რათა კაცთა წარმიყვანეს მე და მიმაწიეს სიძალღესა, და ვინილუ მე განწყობილუბა ანგელოსთა, და მოიწია ჩემდა ხმა, რომელმან მრქკა: მოკუდ და ინილუ საყოფელი სძლისა ჩემისა თეოდორასი. და მიმიყვანეს მე ადგილსა საშუალებსა, კაცთაგან მოუგონებულსა, და იდგა მუნ ცხედარი ოქროსა და ანგელოსი თანაუდგეს ჳ მრქკეს მე კაცთა მათ, რათა თანა მე ვიყო წუთ და ვინილო დიდება ღმერთისა. და ვინთუხს ადგილი ესე და ცხედარი ესე განმზადებულ არს, და აჳსა ვინილუ განწესება ანგელოსთა და სიმრავლე წმინდათა მოწამეთა და შორის მოწამეთა დედაკაცი დიდებითა გამოუთქმელითა და მოკიდა ვიდრე მუნამდე და დაჳდა იგი ცხედარსა მას ზედა.

და მრქკეს მე: ინილუა შენ დედაკაცი ესე დიდებული? ესე არს მონასონი შენი თეოდორე, რომელი ღვაწლითა განილია, რამეთუ ცილი მეჳსწამეთ, რომელი არა მისთანა იყო, არამედ სიმდაბლითა მოითმენდა ღვაწლითა მათ, რომელსა გარდაეცვალა თავი თვისი მამაკაცად და ღირსი ხინანული მოიბრუა; ამისთვისა ცხორება ესე საუკუნოდ მიუგეს. და ესე ვითარცა მრქკეს, მიმიყვანეს აჳსა მონასტრად.

და ადგეს და წარვიდეს ყოველნი სენაკად ნეტარისა თეოდორასა, და დარეკეს კარსა და განადვიდეს ყრმა იგი, და განუღო მათ კარი; და ვითარცა შევიდეს შინაგან ინილეს იგი, რამეთუ აღსრულებულ იყო, და ვითარცა განიხილეს, ჳბოკეს რამეთუ ბუნებით დედაკაცი იყო იგი, და განცვიფრდეს, და შიში დაეცა მათ ზედა და ზარგანხდილნი ესრეთ, ადიდებდეს ღმერთსა ეგეოდენტა მათ ზედა ღვაწლითა მისთა. და ჳრქკა ბერმან ძმათა: ნუ ვის უთხრობთ ვითარმედ დედაკაცი იყო ესე, ვიდრემდის ინილონ რომელთა იგი



ცილი შესწამეს თჳნიერ ბუნებისა, და შემოხეს იგი და წარკვლინეს მოყვანებად ენატოსელისა წინამძღვრისა.

და ვითარცა მოვიდა იგი ჭრქვა მას ბერძანს: დედოფალა, აჴს ქმარი ასულისა შენისა გარდაიცვალა, განიხილე ეგე; და ვითარცა განიხილა ჴმრვა იგი, რამეთუ დედაკაცი იყო. და განჴკვირდა იგი და ზარი განსდა, და ყოველთა მყოფთა მისთა შეეშინა შიშითა დიდითა და სინანულად მაშინლა მოვიდეს. და ვითარცა ესე ჴყო ჭრქვა ანგელსმან უფლისამან მამასახლისსა: აღჳედი სასკდარსა და მსწრათელ წარკედ ქალაქად და რომელი კაცი კართა გარე შეგემთსვიოს მოიყვანე აქა; და მუის წარვიდა ბერი ქალაქად და კაცსაცა მას ეუწყა; და ვითარცა შევიდოდა იგი ქალაქად, აჴს კაცი იგი მსწრათელ მორბოდა და ჴკითსა მას ბერძანს: შეილო ვიდრე ხვალ? ხოლო მან ჭრქუა მას: მოყვასი ჩემი აღესრულა დღეს და წარკალ სილვად მისა; და აღიასკა იგი ბერძანს სასკდარსა და მოვიდეს იგინი მონასტრად; და ვითარცა იხილა ნეტარი თეოდორა კაცმან მან, სძაჴყო სძითა დიდითა და მადლობდა ღმერთსა; და დაუღეს იგი დიდებითა დიდითა და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა.

ხოლო ქმარი მისი ეკედრა ბერსა, რათა მისცეს მას სენაკი იგი მისი და იყოს მათთანა ვიდრემე სიკვდილადმდე; და ბერძანს ჴყო ეგრე; და თურიად სათნო-ყო იგიცა ღმერთსა, და აღესრულა მასკე საუკუნესა შინა, და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან აცხროვნა ქმარიცა მისი მოღვაწეობითა წმინდისა თეოდორასითა.

ხოლო ყრმა იგი აღიზრდებოდა კეთილთა საქმითა და მოძღვრებითა მის წმინდისა თეოდორასითა; და ვითარცა აღესრულა მამასახლისი დაადგინეს იგი ძმათა მამასახლისად კეთილად სკლისათჳს მისისა.

(წარმოგზავნილი მღ. ა. ავალთანისაგან).

## სიტუა.

დიდსა ვაჩასკეკსა.

ერთმან წინასწარმეტყველმან ღუთისმან იხილა უფალი მჯდომარე საყდარსა ზედა დიდებისსა, რომლისა გარე მორტყმულ-იუგუნენ სერათიმნი, მგალობელნი მისდამი უმაღლესისა გალობისა: წმინდაო, წმინდაო, წმინდაო უფალო, საბათო, საკსე არიან ცანი ჭქვეყანა დიდებითა შენითა! იხილა რა ესე განჭკრთა და შერაცსა თავი თჳსი უღირსად. რასა იტყოდა წინასწარმეტყველი აწ წინაშე ამა უფლისა სათლავისა? რა მოკითვიქროთ ჩუწნ, რომელთა წინაშე ძევს უფალი მკუდრად? ჩუწნ ვხედავთ უფალსა არა საყდარსა ზედა დიდებისსა, არამედ სათლავსა შინა, ვხედავთ უფალსა არა ანგელოსთაგან მოცულსა, არამედ ყოვლითა წყლულებითა გარე-შეტულსა, ვხედავთ უფალსა არა დიდებსა შინა, არამედ გვეძასა შინა, გვეძმა უწინარეს ამისა არა ანგელოსთაგან უმაღლესი გალობა მისდამი, არამედ სმა სალსისა, აღტაცებულისა უხჯულოებათა შინა და წინარე ზილსტესა: ადიღე, ადიღე, ჯვარს ატუ ეტე... სისხლი მაგისი ჩუწნ ზედა და შჯლთა ჩუწნთა ზედა! ოხ, მსმენელო! მეუფებსა და უფალსა ჩუწნსა ვხედავთ სათლავსა შინა! არა შესაძლო არს გულ-

გრილად ჩაუშვით კაცთ სათლავსა შინა, თუნდ იუხსცა ესე უცხო გულისა ჩუქნისა. გარნა აქა დაკმაწხავთ, — ვიყოთ მაინც მოწმად დამაწხვასა ზედა, ვინილოთ ვითარ გულმტკინეული იოხებ და ნიკოდიმოს წმიდით დუმილით და კრძალულებით გარდამოხსნიან ძელიდგან გვამსა იესოსა, წარგრაგნენ მას ტილოდთა და დახდებენ სათლავსა შინა; ვინილოთ ვითარ სათლავი ესე დაიფარების მძიმის ქვითა და დაიბეჭდების; გარემოცულ იქმნების მიცვალებულთა. ხილვა ესე არს ღირსი ცრემლისა მრთელისა ქუჩისა! გარნა სადაცა არს ცრემლი, მუნვე არს სწავლა. და ეკვლესია ჩუქნი არა უსაფუძლოდ აღსარულებს ყოველსა წელსა მას, რადაცა ერთხელ აღსარულებულ არს იოხების და ნიკოდიმოსისაგან. მას ჭხურის, რათამცა ჩუქნი მას დროსა შინა, ოდეს მაცხოვარი არს სათლავსა შინა, არა დაკმით უსარგებლოთ ჩუქნისა სულისათჳს.

ვინა ძევს სათლავსა ამასა შინა? ვითარითა სიკუდილითა მოკვდა იგი? რადასათჳს? და არა არსა ვითარიმე ღონისძიება, რათამცა რომლითამე სახით დაუმტკიცოთ ამას ერთგულობა ჩუქნი? ვინა ძევს სათლავსა ამასა შინა? ძევს იგი, რომელზედაცა იყო ეს-ოდენნი წინასწარმეტყველებანი, რომელიც მოვიდა ქუჩისაგან ზედა დასამტკიცებელად ჭეშმარიტებისა, უმაგალითო კეთილისძეო-ფულ კაცთა სათესავისა, — სათლავსა ამასა შინა არს დამალული იმე-დი, არა მხოლოდ ისრაილისა, არამედ ყოვლისა ქუჩისა; მოძღ-ვარი, რომლისა სიტყვიდგანს სტიროდნენ თჳთ ცოდვილნი, ნუგეშინის-ცემულბდნენ მტრალნი, მოხუცებულნი მიიღებდნენ განათლებასა, ყრმანი გულისსძიებებსა; ერთის სიტყვით-აქა ძევს ღმერთი-მაცხო-ვარი! შეძევ ამისა ცხად არს ჩუქნი ყოველთათჳს, რადაცა გამო-სათლავი ესე იყო მაგალითად მოუკლებელისა უგულთადებისა მოწიწებისა და თაყვანისცემისა კაცთაგან; რადასათჳს დედანი კეთილ-მსახურნი ესრეთ საჩქაროთ მივიდოდნენ სათლავად? ამისათჳს მხო-

ლად, რომელ სულითა და სიტყვითა დამხობილ-იყვნენ წინაშე სა-  
თუჯავისა მის. ჭი სათუჯავო! უძვირფასესო სათუჯავო! ურჩიანი მი-  
მგორებელნი ქვისანი თქრობდნენ ვისი ენებათ საუკუნოდ დაკრძა-  
ლვა მას შინა? ჩამსვენებელნი სათუჯავსა შინა მაცხოვრისა ჩუქნისა,  
იოსებ და ნიკოდიმოს, თქრობდნენ ვის ინახავდნენ ქუჩისათვის?  
კეთილნი არა ჭთქრობდნენ მას, რომელ დამარხვითა იესოსითა,  
კეთილს-ყოფდნენ ყოველსა ნათესავსა კაცთასა,-მათ არა უწყოდნენ  
რომელ სათუჯავი, გამოკვეთილი ქვისგან, იქნებოდა დასასრულადმდე  
სათუჯისა მაგალითად კეთილ-მოწიწებისა საქრისტიანოებისათვის, არა  
უმიზეზოდ მიუწერს აქამოდ სხენებასა იოსებ არიმთიელისასა  
და ნიკოდიმოსს ნეტარებასა წმიდა ეკლესიას; კეთილის-ყოფით  
იესოსადმი მათ შეინახეს ნუგეში ჩუქნით და ყოველსა  
ქუჩისათვის.

ვითარ მოკუდა? ოდესცა კუდების ყოველი მოკუდავი აქნეს ვი-  
თარმე ნუგეში წინარე სიკუდილისა,-კუდებიან თითქმის ყოველთვის  
საშუალო ნათესავთა, მიმცემელნი უკანასკნელისა აღმოუშინისანი  
მეგობართა თვითა; გარნა იესო მოკუდების საშუალო ავსავთა, მო-  
კუდების არა სნეულობითა, არამედ საშინელოთა ტანჯვითა, არა  
სახიკვდილო საწოლსა ზედა, არამედ ჯვარსა ზედა; და ესრეთ მი-  
მსედველნი იესოსადმი სათუჯავსა შინა მდებარესა, ჩუქნ თანამდებ  
ვართ მოვიგონოთ, რომელ იგი გარდამოსხნილ-იქმნა ძელისგან.  
რად იქმნებოდა მაშინ, ოდესცა საშუალო ყოველსა ისრაილისა არა  
ზოგნილ იყო ორნი გულმტკიცენი კაცნი? რად იქმნებოდა მა-  
შინ, ოდესცა იოსებ და ნიკოდიმოსს არ გარდამოესხნათ ძელისგან  
ღმერთი ვნებული-აოხ! ჩუქნი მაცხოვარი დაშთებოდა დაუძარხავად!  
რამ აღამალლა ესე ტანჯული ჯვარსა ზედა და რამ ჯვარისგან  
სათუჯავსა შინა შთაიყვანა? ურჩიანთა სიბოროტემან, იუდას კერცხლის  
მოყვარებამან და ამბოროტ-ყოფამან, რომელითაცა განსცა მოძღვარი!

მიზეზი სიკუდილისა მისისა იყო არა შესაკრებელსა შინა ურიათასა, არა ანგარების მოუჭარულის იუდას გულსა შინა; არამედ მიზეზი მისი არს შორს-ბაღსა შინა ედემისასა: იქ ხესა შინა, რომლისაგანაც იცნობებოდა კეთილი და ბოროტი, სე იგი შეიპყრობდა თესლსა, სინათლს ჟვარისა, რომელსა ზედა მოკრედა იესო-გზურთა დაერწმუნოთ ამასა ზედა, რომელ ბაღსა ედემისასა იყო თავი იესოს სიკუდილისა? მიხედეთ მხოლოდ ბაღსა შინა გეთსამანიისასა იესო ქრისტესა ზედა, განმზადებულსა სიკუდილად, და თქუნდეს დაერწმუნებით სრულად, რომელ სიკუდილი მისი არს მსხუწრბლი ცოდვისათვის ჩუწნისა. მიესალვებოდა რა სიკუდილისადმი, რასა ვხედავთ ჩუწნ იესო ქრისტესა შინა? ცრემლსა, ურვასა, წვეთთა სისხლის ოფლთასა და ცრემლით ღაღადებსა: თანა წარმხადე ჩემგან სასმელი ესე. იესო ესრეთ ურვიდა წინაზე სიკუდილისა ამისათვის რომელ სიკუდილი მისი იყო მსხუწრბლად ცოდვისათვის კაცთა ნათესავისა. ცოდვად მრთელის ქუჭუნისა აწვა ერთსა მხოლოდ გულსა მისსა. ქუჭუნად ინთქმებოდა, ითხოვდა გამობხნასა-და გამოხსნასა ესე დამოკიდებული იყო ბეჭსა ზედა ამა კრავისასა, აღმდებელისა ცოდვითა ყოვლისა ქუჭუნისათა! რხ! ცოდვარ! ძალაგვიძს თქმად მიმხედველთა საფლავისა ამისათა, რხ! ცოდვარ! რაბად ლესულ არს ისარი შენი.

რით შეგვიძლიან დაუმტკიცოთ ჩუწნი ერდგულობა ამა ტანჯულსა? ვგონებ დროდ ერთგულობისა მოხრულარს. შემდეგ მისა, ვითარცა იესო საფლავსა შინა არს; შემდეგ მისა, ვითარცა თვით მან ღაღად-ყო: აღსრულებულ არს!-ვგონებ ყოველივე აღსრულებულ არს, აღსრულებულ არს ყოველივე, რადგან თანამდებ იყო იესო აღსრულებად.

მართლმსაჯულება განრისხებული ცოდვისაგან ადამისა, კმყოფილი-ქმნა სიკუდილითა იესოსითა, სიხენეჲ მტერთა კმყოფი-

ფილ: აქმნა; ცოდვანი მოგვეტევენ და მონანულმან ავასაკმან ზი-  
რველ იხმინა ხმა სიხარულისა: დღეს ჩემთანა იქმნე  
სას უფეკელსა! გარნა დრო მადლობისა იხლხადმი აწ  
დაიწყო.

ამა ტანჯულსა, მშენებელსა, არამც თუ უნდა მოვეტეოთ  
ესრეთ, ვითარცა მოექცევიან ჩუქურღებრივთა მკუდართა: შეიბრ-  
ლებენ, იტირებენ, დაასაფლავებენ, განატარებენ რამდენთანმე დრო-  
თა მწუხარების მოხსენებაში! არამედ ყოველივე ცხოვრება ჩუქნი  
უნდა და თანამდებ არს სამადლობელად იხლხა, - და მხოლოდ ამით  
შეგვიძლიან მადლობის ძღუენა მისდამი ყოვლისა მისთვის, რადცა  
მან აღასრულა ჩუქნთვის, - წმინდა აზრი დეკრთებდა, სინანული  
ცოდვითა ჩუქნითა ზედა, მსურვალე ლოცვა მისდამი ბედნიერებასა  
და უბედურებასა შინა, ცხადი სარწმუნოება, შეკრდომილება ბედისა  
ჩუქნისა მათვს, რომელნიცა კრულარისა ჩუქნს გულთან საკრ-  
ველითა სიხსლისათა, — აი ესენი არიან ჩუქნისი მადლობისი  
მისდამი.

აწ მოკედით კეთილმორწმუნენო მშენებელსა საფლავისა მაგი-  
სადმი, უამბორეთ მას სარწმუნოებითა და სიყვარულითა და განი-  
მორეთ წინაშე მისსა აღთქმად, რომელიც ჩუქნი ყოველთა მივე-  
ცით წინარე ნათლისღებისა, — ვიყოთ მორწმუნენი იხლხისი ყოვე-  
ლთა დღეთა ცხოვრებისა ჩუქნისათა. ვილოცოთ მისდამი  
რათამცა მან დაგვიფარის ჩუქნი ცოდვათაგან, რათამცა  
თწუქნი და ყოველნი ქრისტიანენი ყოველსა წელსა, ოდესცა  
მივიდოდნენ საფლავისადმი იხლხა საამბორებელად მისისა  
წულულებისა შემუსრვილითა გულითა დაღადავებულენ: ჰი იხლ-  
ტებილო! მ მ მ ი ს ს ე ნ ე ჩ უ ქ ნ , უ ფ ა ლ ო , ო დ ე ს  
მ მ მ კ ი დ ე ს ა ს უ ფ ე კ ე ლ ს ა შ ე ნ ს ა . ამინ.

მღუდელი კონ. ბერძენოვი.

## ქსწავლა

დღესა ქრისტეს აღდგომისასა. (\*)

---

მოხსენებელი ქრისტე  
აღდგომილი მკუდრეთით.

(1 ტიმ. 2. 8.)

წმიდა მოციქული ჰავლე, შობის მრავალგუარათა დარბიებათა,  
მისწერს საყვარელსა მოწათებსა თვისსა ტიმოთეს, რათამცა იგი  
მარადის მოგონებდეს აღდგომასა მაცხოვრისასა, ასწავდეს იგი ჭ  
ანადღეს ანა დაივიწყებდეს, ვითარცა ფრიად დიდსა რომელსამე  
საქმესაჃ ამა დარბიებასა მოციქულისასა აღვასრულებთ ჩუქნცა  
დღეს, ქრისტეანო, და ვდღესასწაულობთ აღდგომასა ქრისტესსა  
ფრიად დიდითა სინაწულითა. შექსედეთ ამა შეკრებულებასა ერისასა!  
ყოველნი მოხუცებულნი და ყრმანი შემოსილარნი, შეძლებინამე-  
ბრ, ახლითა სამოსლითა, ყოველთა უზურვის სელთა შინა სანთე-

---

(\*) თქმული ნატანტრის იოანე ღმთისმეტყველის ეპისტოლიაში,  
8 აპრილს 1865 წელსა.

ღნი და ყოველი მიუღოცკენ ურთიერთსა ამა მრავალმნიშვნელსა  
დღესა სიტუკითა: ქრისტე ა ღ ს დ გ ა ! სადოგან წარმოდგების  
სინარული ესე, რომელსაცა ყოველს წელს გვრძნობთ გულთა შინა  
ჩუქნთა? რაჲ არს მიზეზი აწინდელისა სინარულის ანუ რაჲ-  
შეგუმატა ჩუქნ აღდგომამან ქრისტესმან?

აღდგომა ქრისტესი არს თრიაღ დიდი ყოველთაგან მოქმე-  
დებათა მისთა. ვინაჲდგან მით გამოსცხადების ღუთაებრივი  
დიდებაჲ მისი, რომლისაგამოცა შეიძრა მიწა, დაეცნენ ვითარცა  
მკუდარნი დადგენილნი ურიათაგან მცუქლნი, და სათლავსა არღა  
ძალადუა შეპყრობაჲ მისი. და ესრეთ აღდგომითა თუხითა გამოს-  
ჩინა ქრისტემან ღუთაებრივი დიდებაჲ, და მით დაამხო ძალი  
მტერთა თუხთა, რომელნიცა დაბრძაგებისაგამო გულისა და გონე-  
ბისა, ჭკონებდენ შეპყრობასა სათლავსა შინა მაცხოვრისა ყოვლისა  
სოთლისასა. აღსდგა ქრისტე და დაეცნენ ყოველი მტერი მისნი  
და ივლტოდნენ შიშისაგან ჰირისა მისისა, ხოლო ჩუქნ მოწმუ-  
ნეთა მოგვანიჭა ძალი წინააღდგომად ურწმუნოთა.

აღსდგა ქრისტე და აღდგომითა თუხითა მოგუანიჭა ძლევა  
მტერთა ჩუქნთა ზედა. ვინ არიან მტერი ჩუქნნი, იტუკით  
თქუქნ, რომელთაც ჭსძლია იესო ქრისტემან? მტერი ჩუქნნი  
არიან: ცოდუა, სიკუდილი და ეშმაკი. ცოდვამან მიუღო კაცსა  
ჭეშმარიტი მისი ცხოვრებაჲ, მოაკლო იგი საყვარელსა და მოწყა-  
ლებასა ღუთისასა და მისცა იგი სიკუდილსა და ჯოჯოხეთსა.  
ცოდვამან შთაგდო კაცი უფლებასა ქვეშე ეშმაკისასა, რომელიცა  
მანქანებითა თუხითა შეიუქანდა ყოველთა კაცთა წარსაწყემენდელსა  
შინა თავისა თანა თუხისა; ხოლო აღსდგა ქრისტე, და სიკუდილი  
განქარდა და მოეღო მას ძალი; აღსდგა ქრისტე, და ცოდუა  
აღიხოცა, ეშმაკი დაეცა და ადამ დაცემული აღადგინა, აღსდგა  
ქრისტე და მყოფნი ჯოჯოხეთსა შინა თავის-უფალ იქმენ სა-



ჰერმობელთაგან ეძმაკისათა. სადა არს სიკუდილო საწერტელი შენი?  
სადა არს ჯოჯოხეთო ძლევა შენი?

აღსდგა ქრისტე, და ჩუწნცა აღვსდგებით; ვინაოდგან უამსა  
მისის აღდგომისასა, ვითარცა მოუთხრობს მატყე მასარებელი:  
მრავალნი გუჟამნი შესუწნებულთა წმიდათანი აღვ-  
სდგეს და გამოვიდეს საფლავით მათით, და შემდგომ-  
მად აღდგომისა მისისა (მათ. 27, 52-53.) შევიდეს.  
წმიდასა ქალაქსა და გამოეტყუდნეს მრავალთა.  
ესე გუჟასწავებს მას, რომელ უეჭველად ჩუწნცა საფლავნი, სმისა-  
მებრ მთავარანგელოზისა, ოდესმე დაცარიელდებიან, რომელ სხე-  
ულნიცა ჩუწნნი აღვსდგებიან. აწ ქრისტე აღვსდგა მკუდრე-  
თით და იქმნა იგი დასახამ შესუწნებულთა: და ვი-  
თარცა იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყუდებიან,  
ეგრეთცა ქრისტესმიერ კორ. 15, ყოველნი ცხოველ  
იქმნენ, და ვითარ არს სახარულევან (20-22.) არს დღე ესე, ოდეს-  
მცა იგი გუჟასწავებს, რომელ შემდგომ სიკუდილისა გუჟადავე,  
ცხოველ ვიქმნებით და აღვსდგებით მკუდრეთით!

დასასრულ საგანსა ჩუწნის სიხარულისასა შეადგენენ მრავალ-  
ნი დიდნი მოწყალებანი, მონიჭებულნი ჩუწნდა მკუდრეთით  
აღდგომილის მაცხოვრისაგან. რაჲ იქმნების უმეტეს ამა მოწყა-  
ლებისა, რომელ უფალმან და ღმერთმან ჩუწნმან მიიღო სწწნილი  
სხეული ჩუწნი და ივნო ჯუარსა ზედა განწმენდისათჳს ჩუწნისა  
ცოდვათაგან და გამოხსნისათჳს საუკუნოდას სატანჯელისაგან.  
ჩუწნ ვიყავით მტერნი ღმრთისა, ხოლო მისამიერ მისისა შევიქ-  
მნენით შვილ ღმრთისა; ჩუწნ ვიყავით განგდებული ჰიროსაგან უფ-  
ლისა და ვიმყოფებოდით რისხვასა და წყევასა ქუწმე, ხოლო აწ  
მოწყალებისა გამო მაცხოვრისა ჩუწნისა, შევიქმნენით მასლობე-  
ლნი ღმრთისა. ერთის სიტყვით: მან მოგვანიჭა ყოველივე, რაჲცა

საჭირო არს ცხონებისათჳს ჩუწნისა და შეკრებისათჳს ღუთისა  
თანა; მან მოგუანიჭა ჩუწნ უწმიდესნი და ცხოველს-მყოფელნი  
საიდუმლონი, რომელნიცა განგვემენდენ სულითა და სოცითა;  
მან მოგუანიჭა დიდ-დიდი და პატრიკოსანნი  
სღთქმანი, წათასმის მიერ ვიქმნეთ, სამღ-  
თოღისამის ზიარებუნებისა, და ვეკლტოდეთ  
სოფლისამის გული-სღთქმისა სრწნილებასა  
(ბ. ჰეტ. ა, გ, და დ.) ვითარცა ჭსწერს წმინდა მოციქული პეტრე.  
ჭხედავთ რაჲ შეგუმატა ჩუწნ აღდგომამან ქრისტესმან და რასა  
ნიშუნენ ყოვლად-განმასარებელნი სიტყუანი ესე: ქრისტე  
აღსდგა.

წმიდა ეკლესია ჩუწნი რომელმანცა უწყის ყოველივე წარჩი-  
ნებულება აწინდელისა დღესასწაულისა, გუასწავებს რა ჩუწნ: ესე  
არს დღე უფლისა, ვისარებდეთ და ვიშუწბ-  
დეთ ამასა შინა, ოვთცა გამოჭსატავს ამას ყოველსა  
გარეგანითა მოქმედებითა სისარულისა თჳსისათა. თქუწნ გესმისთ,  
საყუარელნო, ხშირად განმეორებულნი აქ ხმაჲ: ქრისტე  
აღსდგა! არა ჭგრძნობა ამასთანავე, რომელ ქრისტე,  
მეუფე და უფალი ჩუწნი არს ჩუწნთანა; რომელ იგი, აღსავსეთ  
სიყუარულითა, მოვალს ჩუწნდა-მოძარო, გულთანდმი ჩუწნთა, და  
ჭსურს გამოცხადებაჲ ჩუწნ შორის თჳსისა ღუთაებრივისა დიდები-  
სა! თქუწნ ჭხედავთ, რომელ ეკლესიამან, დაუტევს რა სამოსელი გლოვისა  
და მწუხარებისანი, შეიმოსს სამოსლითა სპეტაკითა და სადღესასწა-  
ულადთა; არა მოიგონებთ მით ანგელოხთა, სპეტაკითა სამოს-  
ლითა შეძკულთა და მოძისრობულთა, რომელ აღჭსდგა მძლეკელი  
სიკუდილისა და ჯოჯოხეთისა? თქუწნ ჭხედავთ კუალად, რომელ  
წმიდანი სამეუფო გარნი განსმულ არიან ეკლესიასა შინა მრთუ-  
ლსა კვირიაკესა პასექისასა; არა წარმოგვიდგენსა ესე მას, რომელ

ჯუარითა აღდგომილის უფლისა ჩუწნისათა განგუწხუწენ ჩუწნ  
კარნი ღუთისა მოწყალებისა, და რომელ თუთ ტა არღარა დახშულ  
არს ჩუწნთა მოწყალებათათჳს?

ჭსედავთ, ქრისტისანო, ვითარ მშუწნიერად და შესაფერად  
გამოხატავს წმინდა ეკკლესია გარკვეანთა სახითა შინაგანთა  
მნიშვნელობათა აწინდელისა დღესასწაულისათა! ეგრეთვე შესაფე-  
რად ჯერარს ჩუწნდა გამოხატავა მისი სახლთაცა შინა ჩუწნთა.  
სახლთა შინა და გზათა ზედა, მიუღოცავთ რა უროიეროსა,  
ჩუწნ განვიმეორებთ სმასა ეკკლესიისასა: ქ რ ი ს ტ ე ა ღ ჭ ს დ გ ა!  
და ვისძენთ ზასუხად: ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ ა ღ ჭ ს დ გ ა! ესე ფრად  
შესაფერარს წმინდისა ამის დღესასწაულისა. გარსა წარმოიდგინეთ  
ყოველთა, შესაფერ არს შემდგომ ამისა, რათა ვისძინოთ სახლთა  
შინა ჩუწნთა, გინა თუ სხუგან სადმე უწესონი უვირინი და  
სიძერანი ამა სოფლისანი? ესეკითარი მოქმედება ჩუწნი არს  
წინააღმდეგი, და არა შესაფერი წმინდისა ქრისტეს დღესასწაულისა?  
ჩუწნ ყოველნი შევიძობით დღეს, დღესასწაულისა-გამო უკეთესი-  
თა სამოსლითა; თუთ სახლთაცა შინა ჩუწნთა იზოგების აწ უძე-  
ტესი სიწმინდე, ვიდრემდის სხუა დროსა; და ესეცა შესაფერ არს,  
ამისთჳს რომელ ჭნიშნავს სიხარულსა ჩუწნსა უფლისათჳს, ჭნი-  
შნავს მას, რომელ ჩუწნ მარადის მზათა ვართ მივიღოთ ესე  
ზეციური სტუმარი სახლთა და გუღთაცა შინა ჩუწნთა. გარსა  
ფრად წინააღმდეგი იქმნების დღესასწაულისა იგი, რდესცა ჩუწნ  
შევიძობით რა დღესასწაულისათჳს, გავმართავთ ლხინთა და თამა-  
შობათა უწესოთა, ხოლო სახლთა შინა ჩუწნთა ვიწყებთ შექტე-  
ვათა და ლოთობათა, რომელთაგანაცა წარმოდგებიან მრავალნი  
ბოროტნი მოქმედებანი. ესე ყოველი ჭნიშნავს, რომელ ჩუწნ არს  
დღესასწაული გვისარის, არამედ ლხინი და შექტევა; რომელ ჩუწნ  
მოუწოდებთ არა აღდგომილსა ქრისტესა, არამედ იმა მტერთა,

რომელთაც მან ჭხდლია და განაგდო ჩუქნგან. ეკრძალებით უკუჩქ  
და ერიდებით, საყუარელი ქრისტიანენო, ესე-ვითართა საქმეთა,  
რათამცა არა განარისხოთ აღდგომილი მკუდრებით ქრისტე ღმე-  
რთი ჩუქნი და თუთ სისარულიცა არა გარდააქციოთ მწუხარებად.

რად ჯერ არს ჩუქნდა იტვით თქუქნ, ვითარ განკატაროთ  
დღესასწაული ესე აღდგომისა? უფალმან აღდგომით თუხით განგვი-  
სუნა ჩუქნი კარნი მადლისა და მოწყალებისა თუხისანი: მივაქციოთ  
ჩუქნცა კარნი გულისა და სულისა ჩუქნისანი უფლისადმი, და სში-  
რად ვილოცვიდეთ ვითარცა ეკლესიასა შინა, ეგრეთცა სახლთა  
შინაცა; განულოთ გულნი ჩუქნნი მოყუასთაცა ჩუქნთა, წარვიდეთ  
მტერთათანა და შეურიგდეთ მათ და მივსცეთ ზირობა არღარა განკა-  
რისხოთ იგინი; წარვიდეთ მწუხარეთა და მგლოველთადმი, და  
ნუგემსცეთ მათ, განვიხილოთ სნეულნი, განვადლოთ გლახანი,  
უწესოდ მქცევლნი შევიპყრათ და ვამხილოთ მათ ბოროტმოქმე-  
დებად მათი, ლოთნი მივაქციოთ ჰატიოხნისა ცხორებისადმი;  
ერთის სიტყვით: წმინდათა საქმეთა შინა განკატაროთ უწმინდესი  
დღესასწაული ესე; ესრეთ უკუჩქ მოვიხსენოთ იესო ქრისტე  
აღდგომილი მკუდრებით წმინდითა გულითა და გონებითა! ესრე-  
თსავე დარვიგებასა და მოძღუარებასა გარდამოგუცემს ჩუქნი წმინდა-  
ცა მოციქული ჰაკლე: ვიდო დეთ, იტვიკის იგი, ნუ სიმღე-  
რითა და მთვრალობითა, ნუ საწოლითა და ბილწე-  
ბითა, ნუ სდომითა და შურითა, არამედ წარვემაცნეთ  
ყოველსა შინა კეთილსა, რათა ვისძინოთ აღდგომილის დღეს უფ-  
ლისგან ჩუქნისა, უამსა მისის მყორედ მოხულისასა, საყუარელი სმად-  
მისი: მოვედით გურთსეულნო მამისა ჩემისანო, და  
დაიმკვიდრეთ განმზადებულნი თქუქნთუ სსასუფეკე-  
ლი დასაბამი დგან სოფლისა. ამინ.

ნატახტრის ძღუდელო იოანე მრეკლელო.

როდენიძე სიტყუა ჩუწნი ძღუდლების განსამა-  
რთლებელად შესახებ სასოფლო სასწავლებლების  
(შკოლების) გაუხსნელობისა, მიხეზისა-გამო „საქ.  
სასულ. მახარებ.,, ჩუღე-ის წლის დეკემბრის წიგნში  
დაბეჭდილის სტატიისა გ. იოსელიანისაგან.

---

როგორცაჲ მზეს აქუს დიდი ძალი და მნიშვნელობა სილუღს  
ქუსწყანაზედ; ე. ი. ანათებს, განაცხადებს და საყოფიერ-ჭყოფს  
მას; ეგრეთვე კეთილს მზრუნველს საზოგადოებაში აქუს მსგავსივე  
ღირსება. მას შეუძლიან, როგორც რჩევით და დარბევით, ეგრე-  
თვე საქმით ანუ ყოფაქცევით აჩვენოს და შთააგონოს საზოგადო-  
ებას ყოველივე საჭირო და სასარგებლო, და მოაწალოს იგი ბო-  
როტს და უსარგებლო საქმეს. რა გამოცანა უნდა, მკითხველო,  
ამისთანა მზრუნველი საზოგადოებისთვის არის დაუფასებელი პირი;  
და მართლაც უნდა ვსთქუათ, საზოგადოება მას კერძოთ ვერ  
გარდაუხდის მაგიერს ანუ ჯეროვანს მადლობას. ამისთანა აზრი  
მოხვლია უ. გ. იოსელიანსაც, რომელსაც ჭსურების მსგავსივე ქების  
მოპოება საზოგადოებისაგან. იმას, ვითარცა საზოგადოების ნაკლუ-  
ლებისთვის გულისშემატკივარს, აუღია საგნად თვის თხზულებისა

უზრუნველობა მღუდლების შესახებ სასოფლო შრომების განხორციელებისა. მაგრამ რა ბოლო აქვს მის თხოვნებს? უ. გ. იოსელიანს ნაცვლად თვის სიბრძნის დაუძვირებელი სისუსტე თვის მსჯელობისა: “კაცმა ჭირი ძალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა...”, ეს ანდაა სწორეთ ამასევე ახრულებულა.

უკეთუ გვინდა შევიტყუოთ ჭეშმარიტება ამ უკანასკნელის აზრისა, გაკვირვდეთ ის, თუ რა უნდა შეადგენდეს მღუდლების თანამდებობას?

ამის შესახებ სწერს თვით ავტორი — გ. იოსელიანი: “მღუდლის თანამდებობა, იტყვის იგი, განიყოება ოთხს უმთავრეს საწილად: ა, ხალხის სწავლება; ბ, წმიდათ ცხოვრება; გ, საიდუმლოების აღსრულება; დ, ლოცვა ხალხისათვის... ამ აზრებსევე თანახმანი ვართ ჩვენ; — ესენი ნამდვილად უნდა შეადგენდენ განსხვავებით ნიშნის მღუდლებისა. მაგრამ რადგანაც მღუდლები, მისისვე სიტყვით, “წირვა ლოცვას არ აგდებენ, უნათლავად და უზიარებლად არაჟის ჰკვლევენ... — და ამით ახრულებენ ორთა უკანასკნელთა საწილთა თვის თანამდებობისათა, და რწებათ კვლად ორნი პირველი, ამისთვის საჭიროდ ვრაცნთ ვახვენოთ, რის მიზეზით უმეტესი საწილი მღუდელთა ვერ ახრულებს მათ, რათა ამით ვსცნათ, უკეთუ უ. გ. ი. მართლად ამტყუნებს მღუდლებს და მართლად საჭირო არის თუ არა მათთვის ჯამაგირი საზოგადოდ (\*) და საკუთრად შრომების განხორციელებისათვის. ამასთანავე განიხილავ ვრაცნთ პირველ საზოგადოდ

---

(\*) თუძცა უ. გ. იოსელიანი საზოგადო ჯამაგირებსევე არას ამბობს, მაგრამ უკეთუ დამტკიცდება საჭიროება სხენებულის ჯამაგირისა, ამით უფრო უმეტესი ძალა მიეცემა იმ აზრს, საჭირო იქნება თუ არა მღუდლებისთვის ჯამაგირი საკუთრად შრომების განხორციელებისათვის.

დავაყენოთ ის თვისება, რომელიც უ. გ. იოსელიანს დაუუყენებია მკორეზედ, ე. ი. წმიდათ ცხოვრება. ესრეთი ცხოვრება იქმნება ორ გზარს: სულიერი და სორციელი. ჩუწნ არ შეკვებით შინაგანს-სულ არს ცხოვრებას (მათ. ზ, ა), არამედ გაკშინჯავთ გარეგანს—სორციელს ცხოვრებას მღუდლისას, რადგანაც ესე უკანასკნელი ნაწილი კაცობრივის ბუნებისა უფრო მასლობლად არს ჩუწნზედ, და რადგანაც, სჯულისამებრ თიზიკურის ბუნებისა, ჩუწნს ზრუნვას მივაქცევთ პირველად სხეულის აღზრდას.

მღუდელს, ვითარცა მაგალითს და სახეს (ა პეტ. ე, გ.) წმიდის ცხოვრებისას, შინაგანს სიწმიდესთან შეერთებული უნდა ჰქონდეს გარეგანიც: ტანთ ემოსს წმიდათ, სასლში ცხოვრებდეს თაქიზად, ინახვიდეს სასლობას კარგად, შვილებს ზრდიდეს იმისთანა ადგილს, როგორც შეეფერება მათ წოდებას და სხვანი... გვაქჩს რა ესე ყოველი სახეში, წარმოვიდგინოთ ესლა მღუდელობითი ცხოვრება ახლად კურს შესრულებულის სემინარიის მოწათვისა, რომელიც განწესდა და დაიწყო სოთელში ცხოვრება, და რომელსაც არა აქჩს არც სასლკარი, არც დედამაული, რადგანაც ამისთანა უბედურება უმეტესი ნაწილით შეემთსკევათ სოლდე ჩუწნ მ. მღუდლებს. რას მიამზგავსებ ამის ცხოვრემას, უ. გ. იოსელიანო, რა მდგომოერებაში უნდა იყოს სხენებული მღუდელი ამ დროს? ისეთში არა, როგორშიაც მგზავრი ბნელს ღამეს მაკალი და ბოლლს მისული სხვის სასლში შესათვარებლად, სადაც უკანასკნელ ტანჯვისა და ვაების მეტს ვერას ჰხედავს? ჭეშმარიტად ესეთი იქმნება. რათ იქმნება ესრეთი, იტყვის უ. გ. იოსელიანი, და ვიცი ამ აზრის დამტკიცებასაც მოითხოვს. ესეც ადვილია. ხომ მეთანსმები მასზედ, რომ სამღუდლო მოწათე კურსის შესრულების შემდეგ, ანუ პირველად მღუდელობის დროს მოკლებულია ყოვლის მხრიდგან ყოველსანიარს ღონისძიებას. სემინარიიდგან, ხომ იცი,

აწა გამოჰყვება რა მას, ცარიელი ჯიბის მეტი, სახლში აწა თუნი  
აქუს და მრეკლი წლის გასკლამდის აწას მისცემს, საზოგადო დუ-  
ბულების განონით. რა უნდა ქმნას აქ მღუდელმა? ვის მიჰმართოს  
სული? რა ღონისძიება იხმაროს ამ შემთხვევაში? კერათუერს ღონის-  
ძიებას ვერ იხმარებს; ერთის მეტს. ვალი უნდა აიღოს და მით  
გაატაროს ეს წელიწადი. ელის მეორეს წლამდის შემოსავალს მრე-  
კლიდგან, რომელმაც, სიტკისაებრ იოანსე ოქროპირისა, უნდა  
“აღზარდოს მოძღუარი, აღზარდოს დიაკონი და სამღვდელო გუნდი,”  
(\*), მაგრამ ბოლოს რას იღებს? გარწმუნებ, იმდენსაც ვერა, რომ-  
ლითაც შექძლოს შენახვა თვის სახლობისა ერთ წელიწადს მაინც,  
ხოლო უკეთუ აიღებს რასმე, იმასაც ცემა-ტყუებით, გინებით და  
წყუკლით, და აწა თუ ერთსა და ორ დღეს, აწამედ სამის და  
ოთხის თვს განმავლობაში. ოჸ! რა ბედნიერს და სანატრელს  
ცხოვრებას ატარებენ მღუდლები! ღმერთს მადლობას არ შესწი-  
რავდი, რომ ამისთანა ცხოვრება შენც გქონდეს. უ. გ. იოსელიანო?  
ერთის სიტყვით-მაშინ შენი ბედნიერება ენით არ გამოიხა-  
ტებოდა!...

ეს კიდევ აწა თუნი. ვხატვით წლის სარჩო აიღო, მაგრამ  
ვალში რაღა მისცეს, რომდესაც მოვალე აწუხებს ყოველს დღეს?  
შემოსავალი რომ ვალში მისცეს, თუთონ მშიერი მოკუდებს; რჩება  
მხოლოდ ის, რათა სარგებელი თავნად აქცინოს და ისეკ დაიწე-  
როს. იმყოფებიან რა ამ ღროს ამისთანა მდგომარეობაში, მღუ-  
დლებს კვალად სურვილი და სიხალისე აქუსთ საზოგადო შოკლების  
გახსნისა და უმაწვილების სწავლისა; მაგრამ ამისთანა კეთილ საქ-  
მესედ აბრკოლებთ მათ სიღატაკე — ფიზიკური საჭირლება, რომლის

---

